

# უკანონო დაკავებათა ისტორიები საოკუპაციო ხაზიდან

2019

**ბროშურა მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა.**

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

**ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:**

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

**მისამართი**: 0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33
(+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org



ადვოკატირების კამპანია - „ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე“ ხორციელდება რუმინეთის „საჯარო მონაწილეობის რესურს-ცენტრთან“ პარტნიორობით, „შავი ზღვის ნდობის ფონდი - რეგიონალური თანამშრომლობისათვის“ ფინანსური მხარდაჭერით.

# უკანონო დაკავებათა ისტორიები

# საოკუპაციო ხაზიდან

წინამდებარე ბუკლეტის მიზანია იმ პრობლემებისა და უფლებადარღვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება, რასაც ადგილი აქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე. ბუკლეტში ასახულია უშუალოდ იმ ადამიანების მიერ მოთხრობილი ისტორიები, რომლებიც ბოლო წლებში გახდნენ უკანონო დაკავებებისა და გატაცების მსხვერპლი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების მხრიდან.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე რუსეთის სასაზღვრო ძალების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული უკანონო მოქმედებები, მათ შორის - მავთულხლართებისა და ხელოვნური ბარიერების აღმართვა, საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრა და ადამიანების თვითნებური დაკავება, უხეშად არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. მსგავსი ისტორიების გაშუქებისას და სამართლებრივი შეფასებისას, ხშირად, ყურადღების მიღმა რჩება ისეთი ფაქტები და დეტალები, რომლებიც სრულ სურათს შეგვიქმნიდა დაზარალებულების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებზე და მათ მიერ განცდილ ზიანზე. ასევე, ხშირად, მედიასაშუალებების მიერ გაშუქება თუ სამართლებრივი შეფასება კონცენტრირდება მხოლოდ ცალკეულ ფაქტებსა და უფლებადარღვევებზე, რაც ნაკლებად იძლევა ერთიანი სურათის შექმნისა და საოკუპაციო ხაზზე დაფიქსირებული დანაშაულების სიმძიმის სრულფასოვანი აღქმის შესაძლებლობას. მოცემულ ბუკლეტში წარმოგიდგენთ დაზარალებულების მიერ მოთხრობილ ისტორიებს, სადაც

ისინი დეტალურად აღწერენ უკანონო დაკავებიდან გათავისუფლებამდე განვლილ გზას და განცდილ ემოციებს. იმედი გვაქვს, მსგავსი ადამიანური ისტორიები ხელს შეუწყობს საოკუპაციო ხაზზე არსებული მდგომარეობის შესახებ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა 2018 წელს განახორციელეს გასვლითი ვიზიტები გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში, სადაც მოახდინეს უფლებადარღვევების დოკუმენტირება და მოისმინეს ამ ბუკლეტში წარმოდგენილი ისტორიები. აღნიშნული მონიტორინგის მისიების შედეგად ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც წარმოდგენილია უფლებადარღვევების სამართლებრივი შეფასება და რეკომენდაციები სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო უწყებების მიმართ[1].



პერსონალური ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, ბუკლეტში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ სოფელში ვითარდება მოვლენები. ასევე, დაცულია დაზარალებულთა ანონიმურობა.

---

[1] "მავთულხლართების ზონა - ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე - 2019"
http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/Zone%20of%20Barbed%20Wires-Report-%20geo%202019.pdf

## ისტორია N1

შარშანწინ ორივე ცოლ-ქმარი შვილის მოსანახულებლად ვიყავით. ჩემი შვილი იქ იყო გათხოვილი. მაშინ არ იყო აქეთ გადმოსული. იძულებული რომ გახდნენ, მერე გადმოვიდნენ აქეთ.

**წავედი შვილის მოსანახულებლად, თანაც – ნაოპერაციები. 15 ქიმიოთერაპია მქონდა გაკეთებული. თმებიც არ მქონდა ამოსული, ქუდით დავდიოდი.**

ჩავედით და მეორე დღეს რომ მოვდიოდით, ჩემს მეუღლეს ვუთხარი – მოკლე გზით წავიდეთ-მეთქი. არ შემეძლო შორიდან წამოსვლა. მას არ უნდოდა მოკლე გზით გადმოსვლა – იქნებ იდგნენ იქო. რამდენჯერმე არის დაჭერილი ჩემი მეუღლე – დამიჭერენო და შენ უფრო ცუდად გახდებიო. წავიდეთ გალის გავლით, ცენტრალური გზითო.

მე ვუთხარი – სამ საათამდე არ დგანან-მეთქი. ასე მქონდა გაგებული.

ასე წავედით. ვხედავდი, ჩემ წინ მიმავალი ადამიანები გადმოვიდნენ „საზღვარზე“. არ დაუკავებიათ. ჩემს მეუღლეს ვუთხარი – გადავიდა ხალხის ნაკადი, წამოდი, არ დგანან-მეთქი. ცოტა ავჩქარდი. წინ მივდიოდი, ის უკან მომყვებოდა. ტყეში ყოფილან დამალული. გამოვარდა ერთი რუსი, ახლოს მოვიდა და „ჟენშინაო“, დამიძახა. გავჩერდი, სირბილის თავი არ მქონდა. რომ მერბინა, გავუსწრებდი ჩვეულებრივად, მაგრამ, ნაოპერაციებს სირბილის თავი არ მქონდა. დაკავებული ხარო. ჩემი ქმარიც მოვიდა.

ორნი იყვნენ. მე ვუთხარი – შვილი ვნახე და გალში ვიყავი კიდევ ნათესავის სანახავად-მეთქი. „არ შეიძლება რომ ვინახულო ნათესავი?“ – ვკითხე მათ. არ დამიხრია თავი. ვუთხარი – ნახეთ პასპორტი–მეთქი.

ყველას აქვს იქაური პასპორტი. რად მინდა ეგეთი ტყუილი? ორი სახლი მაქვს იქ დატოვებული და არ მინდა, დამეკარგოს ის სახლები. ჩემი შვილი რამდენჯერმეა დაჭერილი იქ და ყველა საბუთი წაართვეს.

მერე ჩანთა ჩამომართვეს, ჩხრეკდნენ. საბუთები რომ არ წაერთმიათ, ჩუმად ქურთუკის ჯიბეში ჩავიდე. მითხრეს – აქეთ არ არის გზა, საზღვარს არღვევთ და სადაც გზაა, იმ გზით რატომ არ წახვედითო?. ვუთხარი – ცუდად ვარ, საბუთებსაც გაჩვენებ–მეთქი. მაგრამ, არავითარი შეწყალება არ ყოფილა.

რუსებმა დილით დაგვიჭირეს და საღამოს ათ საათზე წაგვიყვანეს გალში. ჩემთვის და ჩემი ქმრისთვის ჯარიმა არ გამოუწერიათ. აფხაზმა უთხრა რუსს – რატომ დააკავეთ, ამ ქალბატონს პასპორტიც ჰქონდა და მიდიოდა ნათესავის სანახავადო. ასეთი ავადმყოფი ქალი იქ როგორ გააჩერეთ ამდენ ხანსო, მე ხო გითხარით თქვენ, სამი საათის მერე აქეთ წამოიყვანოთო?! ამათ არაფერი უპასუხიათ. ერთმანეთში არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა, ეტყობოდათ ეს.

საკანში არც წყალი მოუტანიათ და არც საჭმელი. დილის ათი საათიდან საღამოს ათ საათამდე ასე ვიყავით. ნერვიულობისგან კუჭის წყლული გამისკდა. ჩემმა მეუღლემ ორჯერ დაიძახა –როდემდე ვიქნებით აქო. ადამიანები არ ხართ, ქალი არაა ჯანმრთელად და დროზე წაგვიყვანეთო. არასასიამოვნო ტონით დაგვიძახეს: ჩვენ ვიცით, როდის წაგიყვანთო.

საღამოს გალში რომ წაგვიყვანეს, ვილისში ჩაგვსვეს. გზაში ცუდად გავხდი და ვთხოვე, გამიჩერეთ მანქანა, წყალი დამალევინეთ–მეთქი. რამდენჯერმე ვთხოვე და მანქანა არ გააჩერეს. უკვე მისულები ვართ და ჩქარა მივალთო. ასე როგორ უნდა მოექცე ადამიანს?!

# ისტორია N2

ჩემი შვილი 5 წლის წინ დაიჭირეს. ნათესავები გვყავს იქით და იმათ ეხმარებოდა. იქიდან თხილი მოჰქონდათ და დაიჭირეს. 20 წუთში უნდა მოსულიყო და რომ არ მოვიდა, ტელეფონზე დავრეკე. გათიშული იყო. მეუღლე ნასვამი იყო. ვუთხარი, ბავშვია დაჭერილი, ვრეკავ და არ მპასუხობს-მეთქი. მესამე რეისს აკეთებდა, ორი გამოტანილი ჰქონდა.

**მე და ჩემი ქმარი წავედით შვილის მოსაძებნად. ორივე ოთხზე მივხოხავდით ტალახში. გვეშინოდა, მაგრამ შვილისთვის რას არ გააკეთებ?**

დავინახეთ, რომ ის თხილები უკან გადაჰქონდათ რუსებს. „ურალით" მოსულიყვნენ და ეზიდებოდნენ. ბავშვებს ცუდად არ ექცეოდნენ.

**მეუღლეს უნდოდა მისვლა და არ გავუშვი. ბავშვს იოლად გამოვიყვან-მეთქი და შენ 1000 ლარი მაინც დამიჯდები-მეთქი. დამიჯერა.**

მერე 200 მეტრი გამოვშორდით იქაურობას და დავუძახე შვილს - დედა, სადა ხარ-მეთქი. ვინაიო, უკითხავთ. ზორბაა ჩემი შვილი და ერთს უთქვამს - მეც მყავს ასეთი ბუთხუზა შვილიო. მერე უთხრეს - ნუ გეშინია, გიშვებთო. ჩემს შვილთან ერთად სხვა ბავშვიც

იყო დაჭერილი. იმას გული გაუხდა ცუდად და ისიც გამოუშვეს.

ასეთ მდგომარეობაში ვართ. იქით ვერავინ გადადის. ყველას ეშინია. ბავშვებიც სკოლაში როცა დადიოდნენ იქიდან, დირექტორმაც იცოდა, რომ შეიძლებოდა, პირველ გაკვეთილზე ვერ მისულიყვნენ, ან არ გამოეშვათ, ან უკან დაებრუნებინათ. ახლა კი ჩემი ნათესავის ბავშვი ისე საუბრობს რუსულად და აფხაზურად, გაგიჟდები. მათ ახლა სკოლაში ასწავლიან რუსულსა და აფხაზურს. რას ვიზამთ, ცხოვრება ასეთია. 25 წელია, დევნილები ვართ. ჩემს უსინათლო დედას, ძმებს, მცირეწლოვან ბავშვებსა და რძალს ერთი ოთახი არ მისცეს, აქეთ რომ იცხოვრონ. ასე ვწვალობთ. არ აქვთ პირობები და დარჩნენ იქ. გადმოდიან წამალზე, ექიმზე, მაგრამ დედაჩემი თვეებია, არ გადმოსულა.

# ისტორია N3

ბაღში მივდიოდი. არ ვიყავი ჯერ მისული ბაღამდე. მომეპარნენ უკან. დაახლოებით 80 მეტრით იყვნენ აქეთ გადმოსულები. დამალულები იყვნენ ბილიკებზე. მოხოხავდნენ ძირს. ნიღბიანები იყვნენ. სხვა დროს აქ არ გამოჩენილან. არც ველოდებოდი. დილა იყო. მერე ხმაური ატყდა. მოვიხედე და არაფერი არ იყო. მერე ძაღლებმა დაიწყეს ყეფა. კიდევ მოვიხედე და არაფერი იყო. ვინმე რომ დამენახა, აღარ გავაგრძელებდი გზას. ბაღისკენ რომ წავედი, მერე დავინახე და შიშისგან, ინსტინქტურად, გავიქეცი საპირისპირო მხარეს. გაჩერდი, თუ არა გესვრითო. ოსები იყვნენ. რუსები არ იყვნენ.

ფორმა ეცვათ. შეიარაღებულები იყვნენ. მე მარტო იმ დროს შემეშინდა, როცა წამოდგნენ ნიღბიანები. მერე აღარ შემეშინდა. გავუწიე წინააღმდეგობა, მაგრამ რას გავაწყობდი?! იარაღი ჰქონდათ. ბორკილები ამოიღეს და ელექტროშოკი მეგონა თავიდან, ძალიან შემეშინდა. მერე მიწაზე დამაწვინეს და ბორკილების გაკეთება უნდოდათ, ხელები და კისერი გაშავებული მქონდა, ხელს ისე მიჭერდნენ. მცემეს, ხელებს მაჭერდნენ.

**ვიცოდი, რომ ჩემი ქმარი უნდა ამოსულიყო ბაღში. ვყვიროდი – არ მოხვიდე-მეთქი. მარტო ამას ვყვიროდი. მერე იქით ძალით გადამათრიეს.**

იქით რომ გადამიყვანეს, ქართულად ვეკითხებოდი – ოსები ხართ-მეთქი? რუსულად გველაპარაკეო. ხმას არ ვიღებდი რუსულად. მერე მოვიდა მუქი ლურჯი მანქანა,

იქაც ისხდნენ სამხედროები, ოღონდ ისინი რუსები იყვნენ. მიმიყვანეს ბაზაში და თვალები ამიხვიეს. მერე შემიყვანეს ალბათ ეზოში. კიბეზე ჩამიყვანეს. მეუბნებოდნენ, რუსულად გველაპარაკე, შენ ენა კარგად იციო. მე ქართულად ვპასუხობდი, არ ვიცი-მეთქი. რამეს როცა მეკითხებოდნენ, არ ვიცი-მეთქი. მთხოვდნენ, აღიარე, რომ საზღვარიგადმოლახე, დაარღვიე და გაგიშვებთო. მე ვუთხარი, არაფერი დამირღვევია, ესენი გადმოვიდნენ და წამიყვანეს-მეთქი. მავთულების იქით 50 მეტრი ჩვენიაო. თუ თქვენია, მე იქამდეც არ ვიყავი მისული-მეთქი – ქართულად ვპასუხობდი. ოსურიც მესმის კარგად და რუსულიც, უბრალოდ, მე ვერ ვლაპარაკობ. მერე ამობეჭდეს საბუთები, ერთი ასი ფურცელი იყო და იქ მომაწერინეს ას ფურცელზე ხელი. მხოლოდ იქ არ მოვაწერე ხელი, სადაც ეწერა „საზღვარზე“ გადმოსვლა. ამის გამო მერე კიდევ მოვიდნენ – სასწრაფოდ მოაწერე ამაზე ხელიო. მაშინ იყო ზეწოლა. ხელი არ დაურტყამთ,

მაგრამ მეჩხუბნენ, მაგინებდნენ რუსები, ოღონდ ნიღბებით შემოდიოდნენ. სადაც ვიჯექი, იქ მაგიდა იყო პატარა და საწოლი. საკანში კამერაც იყო.

დარეკვის საშუალება არ მომცეს. მერე ცხინვალში გადამიყვანეს, იზოლატორში. შაბათი დღე იყო. ორი დღე ვიჯექი. არც დავწოლილვარ, ისეთი სიბინძურე იყო. ორშაბათს დილით ამიყვანეს ზემოთ.

შაბათ დღეს არაფერი მოუტანიათ. თვითონ არაფერს მეუბნებოდნენ. ვიფიქრე, კვირას გამიშვებენ-მეთქი. არავინ არაფერს მეუბნებოდა. მერე ადვოკატი და თარჯიმანი მომიყვანეს. მე უფრო კარგად მესმოდა იმათი ლაპარაკი, ვიდრე იმას. ადვოკატმა მითხრა -ნუ გეშინია, სასამართლო იქნება და ვნახოთ რას გადაწყვეტსო. ოთხშაბათამდე მარტო ხელს ვაწერდი საბუთებს. არც ვკითხულობდი, რას ვაწერდი. მაინც არაფერს ამბობდნენ. ვიჯექი ჩემთვის, აბა, რა გამეკეთებინა?! ერთი კაცი ჰყავდათ დაკავებული – ოსი, ქართულიც იცოდა და ვთხოვე: კითხე-მეთქი, რას აპირებენ. ხვალ იქნება

სასამართლო და გაგიშვებენო. ჯარიმაზე საუბარიც კი არ იყო. საღამოს იყო სასამართლო. ადვოკატი ფორმალურად იჯდა იქ. თეატრი გვგონებოდათ, ისეთი სიტუაცია იყო. მოსამართლე ძალიან აგრესიული იყო.

**პირველი სასამართლოს მერე ერთთვიანი ციხე მომისაჯეს. მეთქი – სახლში წამიყვანეთ. სახლში მეც მინდაო – მოსამართლემ მითხრა, ირონიულად.**

მივედით ციხეში, გააღეს საკანი და მაშინ მართლა შემეშინდა. მერე პროკურორი შემოვიდა, უნდა დავათვალიერო, რა პირობებში უნდა იყოსო. დაათვალიერეს კამერები.

სამშაბათს იყო სასამართლო. პროკურორმა მითხრა – ნუ ტირი ჩემო დაო, გაგიშვებთ სასამართლოს მერეო. საერთოდ არ ვუსმენდი ამ სასამართლოს. მოსამართლე იგივე ქალი იყო, მაგრამ ახლა მომტკბარი იყო. წყალი მომიტანეს. ხელსახოცებიც შემოატანინა ჩემთვის, რომ ვტიროდი. თანახმა ხარო? – მკითხეს. კი-მეთქი. რაზე ხარ თანახმაო? მეთქი, ოღონდ დღეს სახლში გამიშვით და სულერთია, დახვრეტაზეც მოგიწერთ ხელს-მეთქი.

დასკვნა გამოიტანეს, რომ „საზღვარი“ გადავკვეთე. ბრალი წამიყენეს და პირობითით გამომიშვეს. მომილოცა მოსამართლემ – თავისუფალი ხარო. მეთქი-ჩვენთან პირობითი რომ აქვთ, თვეში ერთხელ დადიან იქ და მე აქ ვიარო-მეთქი?! სასაცილო განაჩენი გამომიტანეს, ერთწლიანი პირობითი, თვითონაც ეცინებოდათ.

# ისტორია N4

2015-ში დამაპატიმრეს. ორსულად ვიყავი, მე-7 თვეში და მეშინოდა. ექიმთან ვიზიტი მიწევდა. ძალიან პრობლემური ორსულობა მქონდა. ნერვიულობაც კი არ შეიძლებოდა ჩემი. გალის კლინიკაში არ იყო სასურველი, რომ მივსულიყავი და გადავწყვიტე ზუგდიდში გადასვლა.

**2013 წელს დავამთავრე სკოლა. სკოლაში ყოველ დღე „საზღვრის" კვეთით დავდიოდი. მრავალჯერ მოგვაბრუნეს უკან, მაგრამ მაინც წარჩინებით დავამთავრე სკოლა.**



ძნელი კი იყო, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ გაგვერისკა და წამოვსულიყავით. ჩემმა მეუღლემ წინ გაგვიშვა, თვითონ კი უკან დარჩა. მასთან ერთად კიდევ ბევრი ადამიანი იყო, ვისაც გადმოსვლა უნდოდა. მეზობლებიც იყვნენ, ბავშვებთან ერთად. დილის 5 საათზე წამოვედით. 7-8 კილომეტრი ფეხით ვიარეთ. „საზღვარს" როცა მივუახლოვდით, ვერ შევნიშნეთ – იქვე მდგარან და დაგვაკავეს ადგილზე. წაგვიყვანეს დროებითი მოთავსების საკანში. რაც უფრო მეტს დააკავებდნენ, მით უფრო მალე გადაჰყავდათ. ჩვენ შვიდნი ვიყავით ბავშვებიანად. არც წყალი მოგვცეს, არც საჭმელი და არაფერი. მიწისქვეშა გვირაბში ვიყავით. ცუდად გავხდი. ჰიპერტონუსი დამემართა. ორი დღე ძალიან ცუდად ვიყავი. დახუთული ჰაერი იყო, რადგან საკანს ფანჯრები არ ჰქონდა. 4 მეტრი იყო საკნის სიგრძე, ჭრუჭუტანაში შემოდიოდა სინათლე. არც ლეიბი იყო. არც საბანი

მოუციათ და არაფერი. ტელეფონზე დარეკვის უფლებაც არ მოგვცეს. ყველაფერი ჩამოგვართვეს.

12 საათისთვის წავედით გალში. ჯარიმები იყო გადასახდელი, ქართული ფულით, ალბათ, 120 ლარი თითო ადამიანზე, თუ იქ მცხოვრები იყავი. თუ სხვა რაიონიდან, მაშინ – უფრო მეტი. შეიძლება სოხუმის სასამართლომდე მისულიყო საქმე. გამოგვიწერეს ჩეკები და გამოგვიშვეს.

## ისტორია N5

საღამოს 5-ის ნახევარი იყო. ჩრდილში წამოვწექი და რახარუხის ხმა გავიგე, თავზე დამადგნენ ავტომატებით. ჩემს ზევით 80 წლის კაცი იყო. იმას ხმა არ გასცეს. მოხუცი არ გვინდაო.



**სასაფლაოზე ვიყავი. ისინი ამბობენ, რომ ნახევარი სასაფლაოს ტერიტორია მათ ეკუთვნით, მაგრამ ჩვენი მკვდრებია იქ დასაფლავებული. 1 კვირის წინ ბიჭი დავასაფლავეთ და მივედი, საფლავი ვნახე.**

ჯიპიესი თუ არ გაქვს, ვერ გაიგებ, რა ტერიტორიაზე ხარ. როგორ უნდა გაზომო ასე?! ერთ დღეს ძმაკაცის მამის საფლავს ვაკეთებდით ქვემოთ მხარეს, გამოვიდნენ იქიდან და წამოწვნენ ზემოთ. პატარა ბიჭები გვახლდნენ, იწევდნენ მათზე, ვუთხარი – არ გინდათ-მეთქი.

ასე მოძრაობენ „საზღვარზე“. ორნი იყვნენ და ვუთხარი – არ დამირღვევია, ეს ჩვენი ტერიტორიაა-მეთქი. ბორკილების დადება დამიწყეს და არ მივიკარე. ძიძგილაობისას ასე 50 მეტრი ქვემოთ წამოვიყვანე. დაიღალნენ ისინი და მეც დავიღალე. ვკითხე – საიდან ხარ-მეთქი. ერთი ციმბირელი იყო, მეორე ყაზახს ჰგავდა. მათთან ჭიდილში თან მოვიწევდი ქვევით-ქვევით. 52 წლის ვარ და დავიღალე. ხან იქ გავისროდი იმ ბორკილებს და ხან აქეთ. ბოლოს მეორემ ავტომატი ჩამარტყა. ზემოდან გავიხადე და სისხლით შევიღებე. ვიხრჩობოდი. 1 საათი ვუწევდი ძალას. ის მოხუცი ეძახდათ – გაუშვითო. ახალგაზრდა რომ ყოფილიყო ვინმე, დამხმარებოდა, იმათ ისეთ დღეს დავმართებდი!.. მაგრამ ჩვენი პატრული მერე მე დამიჭერდა... ადრე ერთმა კაცმა მესაზღვრეებს ავტომატები წაართვა და ცემა, პოლიციამ კი ეს დაიჭირა, რატომ გააკეთე ასეო.

ბორკილების საძებრად რომ წავიდნენ, მე გამოვწცალე, ჩვენს გზაზე დავდექი. წამოვედი მერე, ჩვენი პოლიცია და სასწრაფო მოვიდა.

ჩვენი პოლიცია მხოლოდ მაშინ პატრულირებს, თუ ვინმე დაიჭირეს. სულ იქ რომ იდგნენ, მოერიდებოდნენ, ეგრე აღარ დაგვიჭერდნენ. ჩვენი პოლიცია როცა ამოდის, არ გადმოდიან.

## ისტორია N6

პრობლემა არ გვქონდა ჩვენ, რომ ამ ფართობებში გვემუშავა. ამ ოჯახს აქვს აქეთ ფართობი. იმ ოჯახსაც აქვს აქეთ ფართობი. დაახლოებით ამ კუთხეში ექვსი ოჯახი ვართ. შემდეგ, სოფლის თავში, იქითაც არიან, იქითაც ჰქონდათ ფართობები და ვამუშავებდით ჩვეულებრივად. ორი-სამი წლის წინ არავითარი პრობლემა არ გვქონია. მერე მოულოდნელად წაგვიყვანეს მე და ჩემი ქმარი. ფართობში ვმუშაობდით... მაგრამ, ერთი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამთ. აქედან გალში წაგვიყვანეს. წყალიც გვქონდა და საჭმელიც. აფხაზმა ბიჭმა საჭმელი მომაწოდა – ჭამე ბებია, ნაჭამი არ იქნებიო.



**ჯარიმა არ გადაგვიხდია. მე ვუთხარი – შვილი მომიკვდა და იმის ფული მაქვს, რომ საფლავი გავუკეთო-მეთქი.**
**აფხაზი გაგიჟდა – აქ როგორ ჩამოგიყვანეს რუსებმაო?!**

გალში ის ღამე დაგვტოვეს. მერე დილით დაგვიბარეს და გამოგვიშვეს.